



მაჟორიტარობის ერთ-ერთი კანდიდატი სავარაუდოდ კანდიდატობისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს

2016 წლის 27 აგვისტოს N81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გამოსცა N07/2016 განკარგულება, რომლის თანახმადაც 2016 წლის 08 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის N71 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საინიციატივო ჯგუფის წევრების მიერ წარდგენილი ლეონიდ ჩერნოვეცკი დარეგისტრირდა პარლამენტის წევრობის მაჟორიტარობის კანდიდატად.

აღნიშნული განაკარგულების მიღების შემდეგ - „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ დეტალურად შეისწავლა პარლამენტის მაჟორიტარობის კანდიდატის ლეონიდ ჩერნოვეცკის შესახებ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია და გვაქვს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ ლეონიდ ჩერნოვეცკის რეგისტრაციას მაჟორიტარობის კანდიდატად საფუძველად უდევს დაინტერესებული პირის (ლეონიდ ჩერნოვეცკის)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



უკანონო მოქმედება, ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ N81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ შეამონმოს მის მიერ გამოცემული აქტის კანონიერების საკითხი შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლის თანახმად საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე – აფხაზური. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 111-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან, რომელმაც იცის ქართული ენა. საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს. უდავოა, რომ სუბიექტი, რომელიც მიზანდ ისახავს გახდეს პარლამენტის წევრი, ვალდებულია აკმაყოფილებდეს იმ ცენზს, რომელიც დადგენილი არის კანონმდებლობით. ლოგიკურია ასევე ისიც, რომ ქართული ენის ცოდნის სავალდებულობა გამოწვეულია იმ ფუნქციური როლიდან გამომდინარე, რომელსაც ასრულებს პარლამენტის წევრი. ამიტომ წარმოუდგენელია პარლამენტის დეპუტატმა, რომელიც ვერ ფლობს ქართულ ენას აქტიურად განახორციელოს სადეპუტატო მანდატის ფარგლებში მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები.

ლენილ ჩერნოვეცკისთან დაკავშირებით ინტერნეტ სივრცეში გავრცელებულია არაერთი ვიდეო სიუჟეტი, სადაც ნათლად ჩანს, რომ მაჟორიტარობის კანდიდატი ჟურნალისტებს [ინტერვიუს](#) აძლევს რუსულ ენაზე. გამომდინარე აქედან, გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, ვივარაუდოთ, რომ ლენილ ჩერნოვეცკი ვერ ფლობს ქართულ ენას, რაც გამორიცხავდა მის რეგისტრაციას მაჟორიტარობის კანდიდატად. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ლენილ ჩერნოვეცკის მიერ ქართული ენის ფლობის ფაქტი არ გადაუმოწმებია საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესაც.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს სააარჩევნო კოდექსის 111-ე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, ახლად გამოვლენილი გარემოებათა გამო დაინცოთ ადმინისტრაციული საქმის წარმოება #81 ქობულეთის საოლქო სააარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 27 აგვისტოს N07/2016 განკარგულების კანონიერების შესწავლის მიზნით და განცხადებაში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

როგორც სააარჩევნო ადმინისტრაციამ, ასევე სასამართლომ არ დააკმაყოფილა საიას განცხადება, იმ მოტივით, რომ არ არსებობს სახელმწიფო ენის ცოდნის შემოწმების მექანიზმი.